

სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღს.

№ 46.

ნოემბერი 7, 1893 წ.

№ 46.

შინაარსი:—განთიადი, პოემა დეტუ მერგულასა, —ჩენი საზოგადოება მუშაკალისა. —იხმაილოვი (მოგონება) გ. წერეთლისა. —ჩემს ბედს, ლექსი მ. ბ. —წმინდანი მოწამენი დავით და კონსტანტინე გ. წერეთლისა. —გველის შულცკა, ათ—წ. —კატუ სიე—ლისა. —კრიტიკული შენიშვნები პ. გ.—ა. —სამხედრო კორწინება დმიკალისა. —სახუმარო გასართობი.

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კვალნი“

გამოვა 1894 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თანახმდის ამავე შროგრაშით

რედაქცია ყოველ-ღონისძიებას ხმარობს გაუმჯობესოს შინაარსი და საზე გაზეთისა. ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურლიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე ღ სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურად ღირს: გაუგზავნელად შჯიდა მანეთი, ზოლო გაგზავნით რვა მანეთი. ნახევარის წლისა გაუგზავნელად სამა მან. და ათა შაურა, გაგზავნით ოთხი მანეთი სამი თვისა გაუგზავნელად ორი მან. გაგზავნით სამა მან. თითო ნომერი ანახთა

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკითხველოში და „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში. ქალაქს გარეშე ხელის მომწერთა უნდა მიიქუენ „კვალის“ რედაქციაში Тифლისь, Редакция „Квали“, Большая Водовозная № 22, домъ Айвазова.

გ ა ნ თ ი ა დ ი

(პოემა)

I



აქეა... მიწას ცა მოკედლილი
ვარსკვლავებითა თავზედ ახურავეს
და ცის სიერეში, ვით ნავი ფრთხილი,
ბადრი მთოვარე ნელა დატურავს;

ხმა არსით იმისი, ყველასა სძინავს,
ტკბილად ისვენებს მთელი ბუნება,
შზოლოდ ბულბული სადღაც შორს სტინავს,
თითქოს „ნანინას“ მას ეუბნება;

არა-რა იძვრის, აღარც ჰქრის ქარი,
თითქოს ყურს უგდებს ყველა ბულბულსა,
შზოლოდ მდინარე მოშხუის ჩქარი...
რა იამება იმის ცივს ვულსა?

მის წმინდა წყალსა, მოკამყამესა,
მთვარე ზევიდან დაშვრის კრძალითა,
ეთა კოპწია ქალი სარკესა
და თვის შვენების სტკებუა ხილვითა.

მდინარის პირზე, მალღობზე მდგარი,
მოჩანს სასახლე დიდი, რომელსა
შამოკონია ვარსა ცაცხენარი,
ეთთარცა დედა შვილს საყვარელსა;

იგი სასახლეც დაღუმბულა,
დამგზავსებია მკედართა. სადგურსა;
აღბად ბუღბუღლის ხმით მოხიბლულა
ისიცი და კრძალით მას უგდებს ყურსა!

ვიშ ამ შვენირის მანის ღამეს,
ვიშ ამ ჰაერსა, ვიშ ამ ბუნებსა!..
ვის გვლვიძავს ახლა, ვინ გრძნობს სიამეს,
ვინ ჰყნოსავს პირველს ვარდთ სუნწელებსა?..

II

ჩუ, ეგერ ვილაც წამოწოლილა
ცაცხე-ქემუ მწვენანზე!.. აღბად მის გული
ოცნებებითა ტკიბილით აღვილია
და შეტრუის ღამეს გახარებულთ;

აღბად მას ახლა არა აწუხებს,
კმაყოფილია ტურფა ბუნებით,
იგონებს წარსულ ბედნიერ წუთებს,
საესეა რწმენით და იმედებით;

აღბად ყურს უგდებს ბუღბუღლის ხმასა
იმის მომხიბლავს ჰანგებით სტკებუა,
შესტკერის მთვარეს, შეხზარის ცასა
და ვარსკვლავებსა ესაუბრება!

ოჰ, ნეტავი მას, თუ მართლა ძილსა
არ მისცა თავი მისთვის, რომ იგრძნოს
ძალი ამ ღამის უცნაურისა
და საიდუმლო მისი რომ იცნოს!

მაგრამ ვაი, თუ მწარე დარღებმა
არ მისცეს შებუა, არ გაახარეს,
არ დაძინეს შებუა ფიქრებმა,
არ მოასვენეს და გაამწარეს!

ვაი, თუ იგი გულ-გატეხილა,
მტანჯავ გრძნობებით გარემოცულა,
წარსულისადმი ზიზლით აღვისილა
და მოამეაღიცი აღარ სწამს სულა!

ვაი, თუ მის გულს აღშფოთებულსა
არ ძაღლუძს დასტკებს არც ცის შვენებით,
არც უგდოს ყური მსტკინავ ბუღბუღლსა,
არცა დაამდეს ვარდთ სუნწელებით!..

III

მართლაც სახისა მის მეტყველება,
მის ტანთ-საცმელი მთლად დასხრილული,
მის ნაღვლიანი შეხედულება
ამტკიცებს, რომ სწუწს იმისი სული,

რომ იმის გულში ღრმა ტკივილებსა
გაუღდამსთ ფესვი და იზრდებიან,
შხამენ, სწამლავენ მის სიკაცხლესა
მის სუსტ სხეულსა საზარლად ღრღინან!

მის მალას, სიბრძნით საესე შუბლზედა
ტანჯვას ღარები დაუწინა;
მის ღია მკერდზე და კისერზედა
სიმწრის ოფლს ცხელსა ბევრს უღვინა;

მის ცეცხლით საესე ერთ ღროს თვალებში
ძლიეს-ლა ბჭუტავენ, თითქმის ჩამქრალან; —
ოჰ, ბვერი სისხლი, ბვერი ცრემლები
მთ დაუღვრიათ და, ჰა, დამდნარან!

მისი წარბები, თმა, წვერ-ულვაში
ღიდი ხანია გათეთრებულა,
თუმცა უღროოდ მქეპარტლში და კვამლში,
ბაიასავბრ, გაყვითლებულა;

გაშიშვლებული მისი წვეიები
ეკალ-ჩიწვეებით მთლად აღესებულა,
მისი ხელის და ფეხის გულეები
დაბეგვილა და დაწრბოლებულა!..

ნეტა, ვინ არის ეს უზბედური,
აქ რად მოსულა, სადაურა?
ნუ თუ სასახლის არის ეს მდგმური,
ნუ თუ ეს გლახა აქაურია?!

IV

სასახლის მდგმური არ არის, არა.
იგი შორიდან არის მოსულიც;
საბრალომ ღიდი ხანი იარა,
სანამ მოაგდო აქ თვისი სული!

დღესა მთელი დღე ის მოდიოდა
და ძლიეს მოვიდა შუალამისას,
თუმცა გზა მისთვის არ იქნებოდა
ნახევარი ღღის ეაქაცობისას.

„რალა ღროს ჩემი სიარულია“,
ამბობდა გზაზე ხშირად საწყალი:
„დაესუტდი, ღონე გამომელია,
შორის საეღვლადა სადლა მაქვს ძალი!..“

„რა გაეიქირა ჩემი სიკვილი,
ღმერთო, რა არის, რადას მანველებ,
რა შევიქენი ასე ცოდილი;
რომ შენს გაჩენილს აღარ მიბრალებ?“

და თვალები ღრმად ჩამარხულები
წამსვე ცრემლებით ავესებოდენ,
სიდანაც ცვიდა მარგალიტები,
ერთი-მეორეს გორვით მოსდევდენ

ჯერ მის გამხდარსა, დამკნარს ლოყებზე,
მერე მის წვერზე... აქ ისვენებოდენ
ერთად და გამშრალ მიწაზე, ქვებზე
ციურ წვიმასებრ დაეცემოდენ!..

V

მოსელოსთანავე სასახლის წინა
დაეგდო იგი მთლად დაქანცული
და ჯერ პატარა, ერთამ ვაძინა,
ახლა ფიჭვებში არის გაბრუნოლი.

ვით ხელის გულზე, გადაშლილია,
წარსული მის წინ... ნუ თუ გლებისთვის
„სუსყველაფერი დაკარგულია,
„ამ ქვეყნად შეველა არ არის მისთვის?“

ჰფიქრობს საბრალო და მზურველ შუბლზე
ხელს ისევამ, თვალნი ეცრემლებიან,
ქეასავით რაღაც მოაწეა გულზე
შაენი სურათნი წინ უღვებთან:

აი, შორს დიდი მოსჩანს სოფელი,
მოსჩანან ქოხნი უპატრონონი,
მოსჩანს ყანები დაუთესელი,
მოსჩანან მკვდრებით საცემ მინდორნი;

საულის ბოლოში მოსჩანს პატარა
ფაცხა მარტოკა აყუდებულო,
წინ ჩამოუდის წყარო ანკარა
ბოლოს - ყვეილით გარემოცული...

იცნო მოხუცმა, იცნო ადგილი,
სადაც ერთ დროსა სიციცხლე სდოდა,
სად დაიბადა, იყო გაზრდილი
და სადაც პირველ გული გაუტყდა;

სადაც დედ-მამა, დები და ძმები,
ზოგი სენით და ზოგი სიმშლით,
ზოგიც მტრისაგან დატანჯულები
მოუკლვენ იმას საზარ სიკვდილით!

VI

„ოჰ, რად გადაერჩი მაშინ ცოცხალი,
„რატომ იმითთან არ მოვეკვი მცეა,
„თუ კვლავ მელოდა ტანჯვა ახალი,
„დამივიწყებდა თუ ასე ზეცა?“

იფიქრა იმან, როს საშინელი
გაძქრა სურათი და სასახლესა
მიაპყრო თვალნი, მკრთალი ნათელი
მისდგომოდა მის თეთრსა კედელსა...

დიდხანს უყურა, დიდხანს მოხუცმა,
სასახლეს მძინარს, დამშვიდებულსა,
მერე რაღაცა უთხრა მას გულმა,
გააზრიალა მსწრაფლ უბედურსა.

და დაიფარა თვალებზე ხელი,
თითქოს შეხედვა შეეზარაო
მის მყუდროების, როს გულში მთელი
ზღვა უტყუხს და მას არ ესმის რაო.

და კვლავ შეაპყრეს იგი დარდებმა
კვლავ შეუწუხდა საბრალოს სული,
კვლავ გაიტაცეს შაენა ფიჭვებმა,
კვლავ წინ დაუდგა მწარე წარსული!
ახლა სურათი ბატონ-ყმობისა,
სურათი საცემ ბნელ ფერადებით,
სურათი კაცთა პირუტყვობისა
დაეხატა მას თვისის შევებით;
დაეხატა და მის სახეზედა
ტანჯვანი კიდევ უფრო ჩნდებიან,
თითქოს მოღრუბლულს ისეც ცაზედა
შაენი ღრუბლნი კვლავ გროვდებიან!

(შემდეგი იწყება) ღმრთე მზერელი

ჩ ვ ე ნ ი ს ა ხ ი ო ბ ა

ცამბარედა, დრამა ავჰ. ს. კავარლისა.



მის თხზულება ამ ოთხის წლის წინად დაწერი-
ლებით იყო კრიტიკულად გარჩეული გაზეთს
„იერიკიაში“. ამისთვის მის შინაარსსზე ჩვენ
ალარას ვიტყვი. ჩვენ გვიჩნდა მხოლოდ რამდენიმე
აზრი წარმოესტევათ თვით წარმოდგენაზე, რომელიც
გაიმართა წარსულ ოჯახებათს, შ.ს ნოემბერის. საზო-
გადოება მტკად ნაკლებად დაესწრო. ეს ამბავი ძა-

ლიან მსმწუხაროა ქართული სახიობისათვის, რადგან
ეტყობა, რომ ჩვენს ქართველ საზოგადოებას გული
აქრუებია ნამდვილ ხელოვნების ნაწარმოებზე, ზნე
და სმენა გადაგვარებია. ეს უფრო ჩვენი ახალი დრამა-
ტული მწერლების ბრალი უნდა იყოს, რომელნიც
მისდევნ თავიანთ თხზულებაში სცენურს ვეფქტებს,
ესე იგი დიდ რახა-რუბ, ბრახა ბრუხს და ხელოვნების
ტაძარი ჯამაზობის ასაპრეზად გაუხდიათ. რაც უნდა
ბევრი ნაკლებიყენება ჰქონდეს „ციმბირელს“, ის მა-
ინც შესანიშნავი დრამატული თხზულებაა, რომელშია



სამა ტიპი ხელოვნურად და ცხოვრების სინამდვილით არის გამოყვანილი: თვითონ ციმბირელი, რომელსაც თავაშობდა კ. ყიფიანი, პეტუა კინტოს — აწყურელი და მავთუიანს — ე. აბაშიძე. სამივე მსახიობებმა ხელოვნურად წარმოადგინეს ეს ტიპები და ესტეტური გრძნობით დავეტკბეს. დანარჩენი ტიპები მკრთალნი არიან, განსაკუთრებით ქალების ტიპები; ხოლო ყველაზე უფრო უფერული და ჩვენი ცხოვრების შეუსაბამო ტიპია ნიკოლი, ვაჟი ციმბირელისა. ამ უფერულს ტიპს აღენდა ბ-ნი გუნია. ჯერ რომ ამგვარი ტიპი მართლდაც ყოფილიყო ღრამში გამოხატული, მაშინაც ე. გუნია იმას ვერ განახორციელებდა, რადგან ამ გვარი ტიპის წარმოდგენა მას არ ეხერხება ხოლმე, მეორე რომ თვითონ ტიპი სინამდვილეს მოკლებული

იყო და ეს ცრუ-არსება ე. გუნიას ხელში სულ დამახინჯდა. ამას თვით ე. გუნიაც გრძნობდა, და სცენაზე უწნოთ ილრიკებოდა, თითქოს თავის წარმოდგენას თვითონვე დასცინისო. მაკრამ წარმოიდგინეთ ჩვენი ვაოცება! ზემო ჩარდაყიდან, ანუ ესრედ წოდებულ ვალღერიდან, ყველაზე უფრო ბევრი ტაში და „ევაშა-ევაშას“ ძახილი ბ-ნ გუნიას ერგო. არც ჩინებულად მოთამაშეს კ. ყიფიანს, არც შეუდარებელ ე. აბაშიძეს და არც სასიამოვნოდ მოთამაშეს აწყურელს იმდენი ტაში და მოწონება არ ხვედრია წილად, როგორც ბ-ნ გუნიას. ეს რა ამბავია? ნუ თუ ჩვენს სცენაზედაც მოყვადლი კლაკორები (claqueurs) განჩენენ? ეს-ღა აკლდა ქართული ხელოვნებას, რომ დაბადები სათანადე გახარწილობის სენი თან დაყოლიყო.

მახაკელი.

პ. ი ზ მ ა ი ლ ო ვ ი

(მოკანკება)

პვენი რედაქციის წრე 1873 წელს ტფილისში შერია. პ. იზმაილოვი 1872 წლის გასულს წაივდა საზღვარს გარედ პარიჟს. მე, ნ. ნიკოლაძე და ს. მესხი უფრო გვიან წავედით. რამდენადაც დაახლოვებით ვიცი, პ. იზმაილოვის ცხოვრება პარიჟში მეტად ნაყოფიერი იყო მისი გონების განვითარებისათვის. ის იყო გართული დღე-ღამე წიგნების კითხვაში და პოლიტიკურ ცხოვრების შესწავლაში.

დღისით ის ტრიალებდა ლათინის „კვარტალის“ სტუდენტობაში, ღამე კი ერთი საზოგადო კრებაც არ გამოეპარებოდა, რომ არ წასულიყო, საცა მრავალნაირი საერო და სოციალური (საზოგადობრივი) კითხვები განიჩივრდა, აიწონ-დაიწონებოდა.

1875 წ. და 1876 წ. პარიჟს ვამოგვასახლა გრაფის ლორის-მელიქოვის სახლობა. მიხ. ტარიელისძე ლორის-მელიქოვმა მაშინვე მოიპატოვა პ. იზმაილოვი თავის შვილების მასწავლებლად. იმან ერთის შეხედვით შეატყა, რომ ეს ახალგაზდა ფრიალ ნიჭიერი, შრომის მოყვარე, თავმდაბალი და შორსგამსჭვრეტე კაცი იყო. გრაფი ლორის-მელიქოვი ზნობად იპატოვებდა პ. იზმაილოვს თავის კაბინეტში საბავსოდ. ბევრჯერ მომხდარა, რომ პ. იზმაილოვი ნაშუალამევის ორ-სამ საათზე დაბრუნებულა შინ გრაფის ქვეანი საუბრით აღტაცებული. აგრეთვე გრ.

ლორის-მელიქოვზედაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა პ. იზმაილოვთან ლაპარაკი. ის თითქოს გაჭაბუკდა პ. იზმაილოვთან დაახლოვებით.

ერთხელ გრაფმა სთხოვა იზმაილოვს, მონაპოტრის მუშათა კრებაში წაყოლოდა, რომ გამოერკვია თავი-და-თავი აზრი მუშათა მოთხოვნებისა და საჭიროებისა. პ. იზმაილოვი განაცხადებდა ასეთმა სურვილმა გრაფისამ. ლორის-მელიქოვი მიუხედა და უპასუხა: „რად გაგიკვირდა ჩემი სურვილი, მე სრულებითაც არ მინდა თვალ-დახუჭული ვიყო ზოგიერთ კითხვებისათვის, რომელთაც ჩვენს დროში დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა აქვით, მით უმეტეს ჩემთვისო. ეინ იცის, მუშა ხალხის აზრებისა და მიმართულების შესწავლა როგორ გამოამადგებოა“.

1876 წელს ზაფხულში ხელმწიფე იმპერატორი, ალექსანდრე II, მობძინდა წყლებზე ბადენ-ბადენში. მაშინ დიდებულს სრულიად რუსეთის მპყრობელს დიდი განზრახვები უტრიალებდა თავში ბოლოგარის განთავისუფლების შესახებ. შორსგამსჭვრეტე მისი ქუა ეძებდა თავის ქვეშევრდომებში უნიკორესს კაცებს, რომელნიც მას გამოადგებოდნენ ამ დიდ ბძობლაში. ერთ საღამოს გრ. ლორის-მელიქოვმა შეიხმო თავის კაბინეტში პ. იზმაილოვი და უტყვნა ხელმწიფე იმპერატორის დევნა, რომლითაც იგი იზარებდა მას ბადენ-ბადენში: „ჩემი უარსკლავი ისე გამობრწყინებას აპირებსო. მე ამელამე უნდა ჩავლაგო ჩემი ბარგი. ეინ იცის, ხვალინდელი დღე რას მომიტანსო. ეს იმედი კი მაქვს, რომ დიდებული ხელმწიფე იცნობს თავის ერთგულს ქვეშევრდომებსო.

გული მეუბნება, რომ მომავალი წელი რაღაც განსაკუთრებულს ანებს მოგვითანსა. შემდეგ, როგორც გამოიჩინა, ლორის-მელიქოემა იმ წელსვე იცოდა, რომ მას ჩაბარებდნენ კარბუსის კამანდირობას და მოიპატიებდნენ მხეჯათო-მთავრად მცირე აზიის ბრძოლის ხელზე...

პ. იზმაილოვი დაბრუნდა 1877 წელს პარიზიდან ტფილისში და იმი რომ ვათავდა, იგი მიიპატივა განსვენებულმა დიმიტრი ყიფიანმა საქალაქო გამგეობის მდივნად. ამ დღიდან იწყება მისი ნაყოფიერი შრომა ტფილისის ქალაქის გაუმჯობესებისათვის. 1880 და 1881 წლის პირველ ნახევრამდე იზმაილოვი ჩემთან ერთად შრომობდა გაზეთში „ტფილისის უწყებაში“ (Тифлисск. Вѣстникъ). თუმცა ოფიციალურ რედაქტორად ამ ვაზეთისა იმ დროს თ-ღ. ერისთავი ირიცხებოდა, მაგრამ ნამდვილ ფაქტიურ რედაქტორად კი პ. იზმაილოვი იყო. განსაკუთრებული ნაყოფიერი შრომა იზმაილოვისა აღმოჩნდა ამ დროებაში და შემდეგაც ქალაქის გაუმჯობესებისათვის. ამ დროს მის თავში ტრიალებდა სხვა-და-სხვა პროექტები წყლის მიღებით გაყვანისა, ქალაქის სახლის აშენებისა, საელოსნო სკოლების დაარსებისა, ხიდების გაკეთებისა და სხე.

ყველა ამებს ესაჭიროებოდა თანხა, რომელიც ქალაქს არ ჰქონდა. მაშასადამე დიდი მასალა უნდა შეკრებილიყო, რომ ქალაქის რჩევა დარწმუნებულიყო და გადაეწყვიტა ვალის აღება ამ საქმეების განსახორციელებლად. თუ რომ ჯეროვანი საბუთები არ ექნებოდა ქალაქის რჩევას ხელში, რომ აღებულ იქნებოდა თვით იმ მოწყობილობების შემოსავლიდან არ გადაიხდებოდა, რომელნიც უნდა გაეკეთებინათ, უამისოთ შეუძლებელი იყო, რომ საქმე გაჩარხულიყო.

აი, ამისთვის ძალიან ბევრს შრომობდა იზმაილოვი. მე ვარ ყველა ამ საქმეების მოწამე, რადგან ამ დროებში მე და იზმაილოვი ერთად ცხოვრობდით ერთს ჰაწია ოთახში, რომელიც მდებარებდა იზმაილოვის აბანოების სახურავს ქვეშ. აქ ამ ჩარდავში განუწყვეტლივ შრომობდა იზმაილოვი მისი პროექტების შესამუშავებლად. არაერთი მოსხენება და მიწერ მოწერა მთავრობის გამგეობასთან არ მზადდებოდა, თუ არ ღვით იზმაილოვისაგან, რომელიც ასრულებდა ქალაქის მდივნის სამსახურსა და ხშირად გამგეობის წევრობასაც კისრულობდა ერთსა ზ მათვე დროს. მის-და-ბედთა ქალაქის თავიც ისეთი შეხედდა, რომ მის პროექტებს თანაუკრძნობდა და აგრეთვე ნ.

ნიკოლაძეც დიდთ ეწვეოდა მას, რომ ქალაქის საბჭოში გაეტარებინათ ეს პროექტები. ნ. ნიკოლაძე იმ დროებში იყო ხმოსნად და მის თივრიულს მოსახერებებს დიდი ყურადღებით ისმენდა ხოლმე თვით საბჭო და უჯეროდა კიდევ. ამ დროების განმავლობაში 1889 წლამდე ნ. ნიკოლაძე და პ. იზმაილოვი ხელი-ხელ ჩაკიდებული შრომობდნენ ერთად ქალაქის გაუმჯობესებისათვის. მიუცილებლად ერთი უღატკისი პ. იზმაილოვის დამსახურება ტფილისის ქალაქისათვის წყაროს წყლის გაყვანა ტფილისში. ძალიან ბევრი საყვედური ჰხედა პ. იზმაილოვს ამ მიღების გაყვანისათვის. ჯერ იყო და აქვალის წყაროს წყალი დაიწუნეს და ამან ერთი აღიაცოთი აღძრა გაზეთებში, მერე გადავიდნენ იმაზე, რომ ყორღანოვის წყლის მიღები ძვირად შეისყიდა ქალაქმა და ამაში დამნაშავე მხოლოდ იზმაილოვიყო.

მაგრამ ყველა ეს საბუთები გააქარწყალა შარშანდღემა ხოლერობამ. ბევრითად შეგვიძლია ვთქვათ: შარშან რომ აქვალის წყაროს წყლები არ ჰქონოდა ტფილისის ქალაქს სასმელად და ყორღანოვის წყლის მიღებს ისე მტკერის წყალი მიეწოდებოდა მცხოვრებლებისათვის, ხოლერა მიუცილებლად მუსრს გააფლებდა ტფილისს და ის უბედურება ეწეოდა მასაც, რაც ბაქოს დაემართა. ტფილისი ვადაურხა ხოლერას მხოლოდ წყაროს წყლის მადლობით. რაც უნდა ბევრი ფული დახარჯულიყო ამ წყლის მიღების გამართვაში, მაინც ის ზარალი ერთ ჩირადე არ ჩაჯარდებოდა იმასთან, რაც ხოლერას შეეძლო მოეცა ტფილისისათვის, რომ მას წყაროს წყალი არ ჰქონოდა სასმელად.

გ. წერეთელი.

ჩ ე მ ს ბ ე ლ ს



აქ უნდა მტანჯო, ჩემო ბედო...
ვერ შემეპირობო მაინც გულსა,
ვერ ვადმაცდენ, ცვალებალი,
გზაკვალს, ჩემგან არჩეულსა.

ვიცი, გიცან, ჩემთვის უხედა
წამება არ გეშურებავ;
ესეც ვიცი, სათამაშოთ
თავი ჩემი გვეულებავ.

მაგრამ მაინც ვერ შემეპირობო,
დეე, ბედი ნუ მეწეროს;
მხოლოდა მსურს სიკედილის დროს
შებღის სიწართლე დამეწეროს.

წმინდანი მოწამენი

(დავით და კონსტანტინე)



დავითს და კონსტანტინეს კეთის ცემისაგანა მთელი ტანი დაულოჯდათ, ალაგ-ალაგ დაუსკდათ ზორცი და სისხლი სდიოდათ. შემდეგ მურვან-ყრუმ უბრძანა მტანჯველებს თავი დაწებებინათ. იმან იფიქრა, არგვეთის მთავარნი როგორც კაცნი, სულით მოსუსტდებოდნო და ახლა დაეუტებები, დაეპირდები დიდებულს ცხოვრებას და ჩემს ნებაზე დაეყოლიებო. მან უბრძანა მსახურთა შეეყვანათ არგვეთის მთავარნი მასთან პალატში. მაგრამ წმინდანი მოწამენი სატანჯველის გამო კიდევ უფრო გამძნდნენ. მტარვალმა უთხრა დავითს გულ ჩელოდნე: „ჩემმა მხედარ-მთავრებმა მითხრესო, რომ შენ დიდი გონიერი კაცი ყოფილხარ და ჩინებული გამოცდილი მხედარ-მთავარიცო. მართლა და ნამდვილი თავი ყოფილხარ ამ ქვეყნისაო ნულა მეწინააღმდეგები. მე მინდა ყოველი სიკეთე მოგანიჭო და გავხადო სპარსეთის და არაბეთის მთავარადო, ოღონდ დაემორჩილე სჯულსა მამად ღედისა ძმისა ჩემისასა. შენ იქნები ამასთანავე მთელი არაბეთისა და სპარსეთის ჯარების სპასალარი; ხოლო უსენი ძმა იქნება ჩემი კარის დიდებული და მევაზე შესყარელესი და უდიდებულესი ჩემს კარზე არაიენ იქნებოა“.

წმინდა მოწამე დავითმა გამოსახა ჯვარი პირსაზე და თვისსა და თქვა: „მე შეუძლებელია. ჩვენ ვერ გავცელოთ ნათელს ბენესაზედა. ქრისტეს სარწმუნოება არის ქვეშაირიტი, რომელიც მოგვევლინა და გვესწავა ორის მისის მოციქულისაგან“). ამაზე ედგევართ მტკიცედ, იცოდეს ესე სრულიად სპარსეთმა და არაბეთმა“.

მტარვალმა შეიკრა წარბები. მაგრამ ცოტას ხანს შემდეგ ისევ მოიმადბლა ხმა და მამობრივი გულ-ჩელობით შეეკითხა კონსტანტინეს: „შენ, ჭაბუკო ახლევანო, შენ რაღას იტყვი? დამორჩილდები თუ არა ჩემს ბრძანებასა?“

კონსტანტინემ ისეთი გულის-სიმპაგრით და მხნედ უპასუხა, რომ ყოველი მისი სიტყვა ტყვიასავით ჰხედებოდა გულში გამხმეცებულს მტარვალს: „ნუ იფიქრებ, რომ დაემორჩილო ბრძანებასა შენსა. ჩვენ სარწმუნოებით და სჯულით ერთად ვართ განსწავლულნი. მე მრწამს და ეალივარებ მამასა, ძესა და სულსა წმინდასა, მისთვის მოაკცდები“.

*) სვიმონ კანანელი და ანდრია მოციქული უნდა იყვნენ სხუთნი.

მძლოერი მურვან-ყრუმ მეტად დამდაბლდა სულით, განრისხდა, მასცა წმინდანი არგვეთის მთავარნი მტანჯველებს და უბრძანა მათ: „ნურც ასმევთ, ნურც აქმევთ, სტანჯეთ ყოველნიარად, რომ დასუსტდნენ და ბოლოს მოიქცენ ნებასა ჩემსაო“.

ათს დღეს შემდეგ მურვან-ყრუმ დაიბარა სპარსეთის მოგენი და უბრძანა წასულოყვენ არგვეთის მთავრებთან და გულმობობერად შევერონებინათ ისინი და დაპირებოდნენ მძლოერის მურვან-ყრუმ მოწყალებას.

ესენი მივიდნენ თუ არა, პირფერობით ძლიერ გაუჯავრდნენ მტანჯველებს: „როგორ გახედეთ თქვენ ამდენი უპატიურების მიყენება ამ დიდებულ მთავრებისათვის, რომელთაც ასეთი მხნეობა და გმირობა გამოიჩინეს ბრძოლაში? განა არ იცით, რომ დიდს ამირ-მუმლს ჰსურს ამათი პატივისცემა და ფუფუნება?“.

წმინდანი მოწამენი ემზავებოდნენ აზრდისა; ძელისა და კანის მეტი აღარა იყვენ რა, ისე გალენულიყვენ სატანჯველისაგან.

მოგენი თანავარძლობით ურჩევდნენ არგვეთის მთავრებს, რომ ცუდ-უბრალოდ არ მოეცათ თავისი დიდებული სიჭაბუკე. ამირ-მუმლს სპარსეთისა და არაბეთისას ყოველი სიკეთე განუზრახავს თქვენთვის, მასკან გამომავანილო ვართო, რომ შეიბრალეთ ვაეკაცობა თქვენი და ნუ აჰყოლიხართ მარიაშის შეილის ქრისტეს სარწმუნოებასაო. იწამეთ იმაზე უფრო დიდი წინასწარმეტყველი მამადი და მისი სჯულიო. დავითმა და კონსტანტინემ რისხვით მოუეს მლიქვნელს მოგვეს: „ვერავითარი ჭირი, ანუ დიდება ამა საწუთოსა ვერ გავდარცხნენ. ვერავითარი წვალება—უსმელობა და უქმელობა—ვერ დაგვიჩარავს იმდენად, რომ ქრისტეს სარწმუნოებაზე და ჩვენს სჯულზე ხელი ავადგებინოს. მშათა ვართ სცედილზე სახელისა მისისათვის“.

მოგენი წარვიდნენ სირცხვილელუნნი და მოახსენეს მურვან-ყრუმ: „იმით არც ტანჯვის ემინათ, არც სიკვდილისა, არამედ მტკიცე არიან სარწმუნოებასა მათსა ზედაო“.

მურვან-ყრუმ იძლია მათის ზნეობის სიმტკიცით და მეტის რისხვისაგან ვაცოფთა, ვასცა ბრძანება: ჯერ სცემონ საშინლად, მერე ჩამოკლდონ ორივე მოწამენი თავდალმა ხეებზე და შემდეგ შეუტრან ხელ ფეხნი, დაეკრან კისერზელოდები და ისე გადაადგონ რიონში. თვითონ კი იმავ წაშმა აიყარა და დასცა ბანაკი ჯიხანქვიჯის ქალაქში, მარტვილის მახლობლად; ხოლო მისმა ჯარმა მოიცვა მთელი სამეგრელო-აფხაზეთი, აღიღო ყოველი ციხე და მეტად აი-

კლო ეს მხარე. უმთავრესი ბანაკი აბაშის ჯარისა (აელანდელისა) იყო დამდგარი იქ, ახლა რომ აბაშის წყალს ეცხიან; ხოლო ბარკი, ეტლები და ცხენოსანი ჯარი ცხენის წყალზე იყო დაბანაკებული. ატყდა ასხისა და ლეჩხუმის მთებში საშინელი ჭექა-ქუხილი. ცამ ვალო პირი და ვადმოვიდა საშინელი წვიმა. ცხენის-წყალი და აბაშის ეგდოდენ, რომ წითლანეთთან გავრთიდენ და მთელი ბანაკი მურვან-ყრუთს მოიტაცეს. ამბობენ, იმ ღამეს ორმოცი ათასი ცხენი და ასე თავის ბარკიანა და ეტლებიანა შოიშთა ამ ახლავებულს მდინარეებშია; მას აქეთ ეწოდოდა ცხენის წყალს თავის სახელი და აბაშას თავისია.

ხოლო მტანჯველებმა მიიყვანეს წმინდანი მოწამენი ტბასა ზედა, საცა იდგა საყდარი კოხან და დამიანესი — და ჩაადგეს შიგ ლოდებ-შებმული კისერები. ეს ტბა იყო შექმნილი ქუთაისის კლდის გამო, რომ ეტლებზედა რიონი თავს ვაღდიოდა, რადგან მამონ ჯირ კიდევ არ იყო კლდე ისე გარღვეული, როგორც დღეს არის ხორხის თავში. იმ ღამეს მოხდა სასწაული. წმინდა არგვეთის მთავრებს შეესწათ ხელ-ფეხი, მოსცილდით ლოდები კისრიდან და წყალმა აიტეტიევა ზევით მათი წმინდა გვაგები. უფერად განათლდა ბნელი ღამე, მათ დაადგათ ნათელი ზევით. არგვეთის მთავართა მსახურნი, რომელნიც უღარაჯებდნენ წმინდათა გვაგათა, შეკრთენ, იხილეს რა ნათლის სვეტები და მდღვარნი წმინდა არგვეთის მთაებრა გვაგებზე. ხლეგული მივიდნენ კიდევ და აქ იხილეს კლდის სისხვე და სვეტებულნი გვაგნი დავითისა და კოსტანტინესი. ამ დროს ხმა ესმათ ზეკიდან: აიღეთ წმინდა გვეგვაგნი და წაიღეთ ტყით კრძოთ აღმოსავლეთისკენ და სადაც განთიადლა მოგასწროსთ, იქ დასვენეთ. იქ იქნება ადგილი, საყოფელი მათი. მართლაც განთიადისას ისინი შევიდნენ ერთ კლდის თავზე მდებარეს, მურვან-ყრუსსაგან არხრებულს, ქალაქში, სახელად წყალ-წითელსაში და იქ ერთ დარღვეულს კლდისას ქვეშ იყო ეკატერე, წმინდათათვის დამბადებული. *) წმინდის დავითისა და კოსტანტინეს

გვაგნი ბაგრატ IV (1027—1072 წ.) დრომდის ესეენენ აქ. ხოლო ამ დიდებულმა მეფემ აქ აღაშენა მონასტერი, ამოაღებინა წმინდათა არგვეთის მთავართა გვაგნი ეკატერიდან, შექმნა დიდებული ცეხი, ჩასვენებინა შიგ და დაადგინა ეკლესიაში მლოცველთა და თაყვანისმცემელთათვის. ამ ეკლესიაში გაბარდელ ეპისკოპოსამედ მოატანა. იგი ჩვენ დროს დიდებულთა და დარღვეული იყო; ხოლო გაბრიელმა განახლებინა და გააშენებინა, როგორც ეკლესია, ისე მღვდელ-მონაზონთა საყოფნი მოწამეთის მონასტრისა; თითო ეკლესიის კედლის მხატვრობაც განახლებულია **).

დასასრულ უნდა გამოვიძიოთ, სახელდობ რომელ საუკუნეში უნდა ყოფილიყო მურვან-ყრუს შემოსევა საქართველოში. „ქართლის ცხოვრებას“ და ვახუშტის ისტორიას თუ დავეყრებოთ, ისინი თანხმად მოგვითხრობენ, რომ მურვან ყრუ შირის მეფობის დროს შემოვიდაო. ამის მეფობას ვახუშტი უწევნებს მეშვიდე საუკუნეში. მაგრამ სომხის ისტორიკოსი ვართაბედ გვეონდი, თანხმად არაბის მეისტორიეთა, ამბობს, რომ მურვანი (მურვან-ყრუ) გვაგანეთა ჰიშამ ხალიფმა კავკასიის დასაპყრობად მერვე საუკუნეში (731 წ. ქრ. შემდეგ). ეს მურვან-ყრუ მამამდის დისწული კი არ ყოფილა, არამედ მამებებენ-მურვანის შვილი იყოო, როგორც სმანს, „ქართლის ცხოვრებაში“ და ვახუშტის ისტორიაში მურვან-ყრუს ეტიობა და წინათ აღრიცხვა იმის შემოსევისა, არეულია. ამ ისტორიულს ამავეს უფრო დაწერილებითი და ქეშვარიტი გამოკლევა ეჭრებთა.

გ. წერეთელი.

ში და ჩაიყვანა რიონზე იქ, სადაც იდგა ნათლის სვეტი. იქ იხილა მან წმინდათა გვაგნი, დაუდგა ურუმზე და კერო მოზრებმა თითონ გასწიეს ტყისკენ. როდესაც მათ აივაკეს, ჩაუდგეს დადართხე. ისინი მიდიოდნენ ზევის პირად კლდის პირზე. ამ დროს ურუმ ქვეშ წვეთ-წვეთად ვადილა სისხლი, ეცემოდა კლდეზე და მაგრდებოდა. დღემდის წითელი ლაქები ატყეოა მოწამეთის კლდის ბილიკზე და ხალხს სჯერა, რომ ეს წითელი ლაქები დავით და კოსტანტინეს სისხლის წვეთებიაო. აგრ.

*) ხალხის ზეპირ გადმოცემით ეს უჩანსწელი ამბავი ასეა მოთხრობილი: იმ წყალმდის ღამეს ოკრიბის ზეობაში ვერის გლეხს სიზმარში ხმა მოესმაო: აღსდექ და მოიყვანე შენი გაუხედნელი კურთ მოზრები, რომელნიც დღემდე ვერ დაგიპოვრიხილებოა, შეგბი ისინი ურუმში, ჩამოიყვანე მდინარეზე, აიღე წმინდათა გვაგნი, დასვენე ურუმზე და გაუწე კურთ მოზრებთა. საცა ისინი გაჩრდნენ, იქ იქნება წმინდათა ადგილსამყოფელიო. გლეხმა მაშინვე გაიფიქრა ძილი, წვიდა ტყეში და მისი გიგი კურთ მოზრებო; იდგნენ ერთ ადგილს და არ იძროდნენ, გლეხმა მოაბა მათ თოკი და წაიყვანა შინ, შეაბა ურუმ-

**) ყოველ მოწამეთობას სოფლის ხალხი მიდის მონასტრის გალავანში ღამის სათევად და მთელი ღამე ეველა მლოცველები წყალ-წითელის ნაპრალოში გადაპყრებენ, იქნება ნათლის სვეტები დავინახოთ წყალ-წითელის მდინარეშიო. ხალხს სწამს, რომ წმინდათა არგვეთის მთავართა დღეობის ღამეს უსათუოდ ნათლის სვეტები გამოჩნდება წყალ-წითელის მდინარეშიო და მხოლოდ ის მლოცველი დანახავს, რომელიც გულწმინდით ლოცულობს და ცოდვები შენაბებული აქვსო. აგრ.



გველის შემოცემა



ნდოეთი საოკრებით სახეე ქვეყანაა. რა საკერებლებია არ მოხდება იქა მუდამ შენიერი ლაქვარდი ცა, ათას გვარი სხვა-დასხვა ცხოველები და მცენარეები, დიდი და პატარა მღინარეებით მოფენილი მხარე, ჩრდილოეთით თვალგაღუწვდენილი დედა-მიწის უმაღლესი მთები—ყველა ეს შენიერებით უხვი ბუნება გამოიწვევს იქაურ მკაოკრებთა თავში ფანტაზიისა და წარმოდგენების მრავალ ფერს სურათებს. იმათი გონების ფრენაც გაზვიადებულია. არც ერთი ხალხი ქვეყანაზე არ არის ისეთი ცრუ მორწმუნე, როგორც ინდოელი. იმიტომაც ეს ქვეყანა სახევა ყოველ გვარ თვალთმაქობით, მასნებით, შემლოცველებით და ჯადოსნებით.

მაგრამ ახლანდელ დროში იმათაც მობეზრდათ მისნები და ჯადოსნები. ამათ ყურადღებას აღარ აქცევენ. მხოლოდ გველის შემოლოცველებს დარჩათ იმათ თვალში დიდი მნიშვნელობა. მაგრამ ყველას ერთგვარად არ უყურებენ მაგალითად, არაფერად მიიჩნევენ, როდესაც გველი პატრონს შეჩვეული ჰყავს, ხან წელზედ შემოიხივებს და ხან ქუდივით თავზედ მოიხვევს. ინდოელს უყიკის და აღტაცებაში მოდის იმ გველის შემოლოცველებისგან, რომელნიც ერთი ხე-

ლის ნიშნებით, ერთი უცნაური ხმის ამოღებით გარეული, საშიში, ქვეყნის ამომგდები გესლიანი გველი ჰკარგავს ძალას, მისი გესლი აღარაფრსზე მოქმედებს და შემოლოცველის ხელში მჩრად ჰხდება. ამ გვარ გველის შემოლოცველს ინდოელები თავყანს სტყვენ და გარს ეხვევიან სასოებით.

ინდოეთის ქალაქ მადრასში, მეტად ბევრი გველის შემოლოცველები არიან. იმათ კალათებია დააქეთ ისეთი გესლიანი გველები, რომელნიც ერთი კენითაეც მოჰკლავენ კაცს. ამათ გესლიანი კბილებს ამოგლეჯენ, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, მაინც ისე გაწრთენილი ჰყავთ, რომ როგორც უნდათ, ისე ათამაშებენ.

ზოგჯერ ამისთანა გველს შებაღეთაც ჰხდიან, რა არის გველის შიშით ქურდებმა არა მოიპარონ-რაო.

გველის შემოლოცველები წარმოდგენებს მართვენ ცას ქვეშ, თითქმის ტიტულები არიან და მხოლოდ ქლარუნები აქეთ გაკეთებული. წინ კალათას დაიდგმენ გველებით, აღიდგენ სტეირს და მოჰყვებიან ნელ-ნელა დაკურას. გველები ამ ხმაზედ აიწევენ თავს ზარმაცად და სისინით გაიშლებიან. პატრონი ამათ დააშტერებს თვალებს ერთი სხვა ნაირად და განაგრობოს დაკურას, რაც შეიძლება ტკბილი ხმით. გველები გაიშლებიან, მოჰყვებიან ტრიალს, ცეკვას, თვალელები უბრჭყვინაეთ და გააქეთ საშინელი სისინი.

ზოგი წარმოდგენა უფრო საშიშოა: შემლოცველი გველს წითელ მუდს უჩენებს. ამ დანახვაზე გველებს მოსდით ბრაზი და თვალებიდან ნაკვირჩხლებს ჰყრიან. საშინელი სისინით მივიარდებიან თავის პატრონს, მაგრამ საკმარისია, რომ შემლოცველმა სასტიკად გადახედოს, დასჭყიდოს, მოუღიროს წყება და საშიში ცხოველები აქეთ-იქით განიფანტებიან.

ინდოელები საზოგადოთ დიდ პატივს სცემენ გველებს და ერთ ადგილას აგებული აქეთ კიდევ გველის სამლოცველო, სვან ზრდიან წმინდა გველებს.

ბოძბიში იციან გველების დღესასწაული. ქალაქის მოედანზე დიდ-ძალი ხალხი დაესწრება ხოლმე მათ თაყვანი აცემლად და საღეთოსაც დაუკლავენ. ამ დღეს დიდ-ძალი გველის შემლოცველები დაესწრებიან აქა, მოიტანენ კალათებით გველებს და ხალხი ასმებს ამათ კამბეის რძეს, რომელიც გველებს ძალიან უყვართ.

ეს კაცები გველებს შოულობენ ტყეებში, სტივორის ხმაზე მიადგებიან იმათ ბინას; უტყარად კისერში ეცემიან, ასყრიან რამდენჯერმე ჰაერში. ძალია რომ გამოელევიან, მერე ამოაღლიან გესლიან კბილებს და გველი უფრეხელი შეიქნება.

ბევრი ამ გვარი საკვირველება ჰხდება ინდოეთში. — წ.

კ ა კ ტ უ ს ი

ანსაიციურებელი ღამაზია ზღვის ნაპირას მდებარე შუამერიკის სახელმწიფო მექსიკა. ის უზვით არის შემკული ყოველ ნაირ შეწიფერ მცენარეებითა. უზარმაზარი ბერტოლეთის გვერდით ნაზთ ირხევა კოპწია საროს-ტანის პალმა, გვიმრის ხეები არშისავეთ შემობზევიან გარს ევებერთელ ბანანს და მათ შუაში იკლანება ყუეულებით დაშენებული ღიანა. ევროპელს, რომელსაც სულ შწენეზე აქვს თვალი მიჩეული, გააკვირვებს ამდენი სხვა-დასხვა გვარი მცენარეები.

რომ გავშორავთ ამ შეწიფერ სურათს და ავიდეთ მაღალ ანაგუაქის ეკე-გორაზე, იქ სულ სხვა სურათია წარმოგვიდგება თვალწინ: გვეგონება ღეთისგან დაწყველილიაო, ისე გადაშუარი, გადატრუსული და დაღვრემილია ეს ადგილი: მცენარეებიც



მკვდრებსავეთ არიან. აი, ზოგი მათგანი სრულებით უფოთლებოთ და უშტოებოთ სვეტსავეთ აუღდებულა; ზოგი ბურთებსავეთ გლია ძირს, მათ შორის გველსავეთ იკლანებიან უცნაური ხეები; ზოგი რალაც ნადირსავეთ აქოჩილი ბანჯეელიანები, ცხე იგი ეკლიანები გავოლილან ძირს. ეს მცენარეები — კაკტუსებია.

ასევე მცენარეები მარტო ამერიკაში იზრდებიან იქ, სადაც დედა-მიწაზე მომეტებულათ ცხელია. ამ პატარა ადგილზე ექვსას გვარს სხვა-დასხვა კაკტუსს შტეხებით. მხოლოდ ერთ ნაირს მთვანს აქვს ფოთლები, სხვებს კი მხოლოდ გუფეცელი ძირები აქვთ. კაკტუსების ძირები მრავალ გვარია: ერთ ნაირს კაკტუსს ისევე უცნაური ძირი აქვს, რომ მცენარეებმა ეწინადაცენ ვერ შეადარეს და მაზინჯი კაკტუსი დაარქვეს.


თუმცა კაკტუსებს გარდანი შტებულება არ უფარვით, მაგრამ სხვაფრე ისინი ძალიან სასარგებლონი არიან.

კატუსებს - უდაბნოს წყაროს“ ეძახიან, რადგანაც ისინი აქლემსავით ინახავენ წყალს: მათი ოღრჩოლოროიანი კანი წყალს დაშრობის ნებას არ აძლევს. კატუსის წვეწას მომკაეო გემო აქვს და მრავალი კაცი გადაურჩენია სიკვდილისაგან. კაცს გარდა ბევრმა სტოველმაო იტის კატუსის ეს თვისება. მაგალითად ზაფხულში გარეულთ ვირები ტარებთ ჩამოაკლიან მგლო კატუსს ეკლებს და გამოსწუწნიან გემრიელ წვენს. კატუსი წყალს გარდა საზრდოსაც აძლევს კაცს ის ისხამს ძალიან გემრიელ ნაყოფს. აპას გარდა კატუსი იმით არის გამოსადეგი, რომ მითი იკვებება ჭაფურის მატლი, რომელიც გვაძლევს ჩვენ ძვირვას წითელ საღებავს. უწინ ჭაფურს მხოლოდ მექსიკაში ამრავლებდნენ და არავის უმხელდნენ მის მოვლას და გაშენებას. მაგრამ 1785 წელს ერთმა გამამედამა ფრანკუსმა გადმოიყვანა ჭაფური კუნძულსან ლომინგოზედ, რომელიც მაშინ მათ ხელში იყო. მას აქეთ მისი გამრავლება დაიწყეს ბრაზილიაში, ინდოსტანში, ისპანიამი. აგრეთვე კანარიის კუნ-

ძულეზე და კორსიკაში. როცა ეს ჭიები დაიზრდებიან, მათ ციყვის (თრისის) კულებით ჩამობერტყენ კატუსებიდან საფენებზე, სიციხით ჰკლავენ და გახმობენ. ამ გამხმარს ჭიებში აურევენ დანაყილს შაბს და ჰყიდნიან ჭიადურად. შეენიერი ძოწულისის ფერი გამოდის. ზოგი კატუსის ძირს საშენებელ ფიტრებდაც მხარობენ. სხვა ხეების გადატანა კორდილიერის ქედებზე ძალიან გასაძირია. კატუსი კი ერთობ მშატეა (სუბუქია). მას გადაჰიდებენ ზურგზე სახედრებს და ამგვარად გადაიტანებენ ხოლმე. ასე გასაწჯეთ, თვით კატუსის ეკლებიც ძალიან სასარგებლოა. ბალი და ბოსტანი რომ იმითი შემოლობო, ვერაფერი ოთხფეხი ზედ ვერ გადავა. ზოგ ნაირ კატუსს იმ სიგემ ეკლები აქვს, რომ თუ შეერკო, კამეხსაც მოჰკლავს. აი, ამ გვარი ლობით გაიფარდეს ფრანკუსებმა და ინგლისელებმა წმინდა ქრისტეფორეს კუნძულს.

ზოგიერთი კატუსი ისე შემკულია შენეირი ყვავილებით, რომ მისი ძირის სიმახინჯე დაგვიწყდებათ.

ე—ლო.



კრიტიკული შენიშვნები.

ამაღწენიშ მოთხრობა ე. ნინოშვილისა (გურიის ცხოვრებებიდან)—გამოც. ვ. თაყაიტილისისა და ქსერათბის ჩვენის ხალხის ცხოვრებებიდან— აღტუ შეგრილისა, ქუთისის ამბავთის გამოცემა № 1.



რი მწერალი, რომელი სახელგანთ ზემოდ არის მოხსენებული, სახელდობ. ე. ნინოშვილი და აღტუშვილი ვაგვაცნობენ ხოლმე ზემოთ დასახელებულ თავიანთ ნაწერებში უმთავრესად ჩვენის გლეხკაცობის ყოფა-ცხოვრებას, მისს ჭირსა და ვერაშს, ტანჯვას და გაჭირებას, მისს აუტანელ შრომა-გარჯასა და ჭპან-წყვეტას, მაგრამ მაინც ყოველ ამასთან მისს უტიდურებს სიღატაკე-სიღარიბეს. ორივე მწერალი თვალწინ ცხადად გვიყენებენ, რომ ჩვენის ხალხის ასეთი არა-სანატრელი მდგომარეობა შედეგია მემკვიდრეობითის სიღარიბისა, უმიწაწყლობისა და უსამართლოებისაო. ეს მი-ეზები იმდენად მძლავრნი და უღმობუნნი არიან, რომ არა ასსა და თაისს გლეხს ტანჯვა და გინეაში ატარებინებს ამ უხვირო წუთისოფლის ცხოვრებას. აბა, რა ხეირს დააყრის მრავალ წერილ-შვილის პატრონს გლეხს, მაგალ., ის ვარემოება, რომ მას სამეცნიეროდ დარჩენია მესამედი ერთის პატარა ძეგლის სახლისა, ნალიასი, ერთი ფაცხისა და შვიდი დღის საბევრო მიწისა (გ. უიშვილი—ე. ნინოშ.). ასეთი

